26 მაისი
ეს დღე ჩვენია

# შირაქი

№19 (9.879)
1 — 8 ივნისი 2019 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

## ბავშვთა დაცვის დღე დედოფლისწყაროში



გვ. 5

## „საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი - კახეთი 2019“ გაიმართა



გვ. 3

## „ექსკურსიებს გაცილებით დიდი ფუნქცია აქვთ, ვიდრე ქეიფი და დროსტარებაა“ - უნდა გაუქმდეს თუ არა ექსკურსიები?

გვ. 3

# „თავისუფლება ლომთა ხვედრია“

## პურის და ღვინის ფესტივალი









გვ. 2

# კარგი ამბავი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებიდან!



ძალიან მალე, საქართველოში ერთ დროს გადაშენებული ქურციკების მეხუთე თაობა დაიბადება.

ქურციკები, ანუ ჯეირნები, საქართველოში 60-იან წლებში გადაშენდნენ, დღეს კი კვლავ შეგვიძლია ვიხილოთ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მიმდებარე, სამუხის ველზე. აზერბაიჯანელი კოლეგების დახმარებითა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის ოფისის პროექტის ფარგლებში, 2014 წლიდან, 40 ქურციკი იქნა გადმოყვანილი საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ტერიტორიებზე.

ქურციკებზე მუდმივი დაკვირვების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ პირველი ნაბიჯები წარმატებით გადაიდგა იმისთვის, რომ საქართველოში ამ ულამაზესი ჩლიქოსნის სიცოცხლისუნარიანი პოპულაცია გვყავდეს.

C M Y K

# „თავისუფლება ლომთა ხვედრია“

***თავისუფლებისადმი დაუშრეტელი სურვილი - ერის სულიერების და ფიზიკური გადარჩენის უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ცხოვრებაში. თავისუფლებისთვის ბრძოლა ქართველი ერის სისხლძარღვებში დაუმორჩილებლად არის გამჯდარი. ერის ღირსებისთვის თავდადება ქართველისთვის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს. სწორედ ამ ღირსების დასაცავად ერთიანდებოდა ხოლმე ერი და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იდგა ქართული სახელმწიფოებრიობის სადარაჯოზე.***



***საუკუნე და ერთი წელი გვაშორებს იმ 26 მაისს, როცა თაობათა ოცნება ახდა და საქართველომ დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყნის შენება დაიწყო. და თუმცა, მაშინ ჩვენმა თავისუფლებამ სამი წელიც ვერ გასტანა, ეს დღე იყო იმედი იმ ადამიანებისთვის და მათი შთამომავლებისთვის, დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდგომ საბჭოთა გულაგებში რომ აწამეს.***

***იმ 26 მაისიდან დღემდე 101 წელი გავიდა. დღეს საქართველო დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყანაა და კვლავ იბრძვის იმისთვის, რომ საკუთარი დამოუკიდებლობა დაიცვას და ტერიტორიული მთლიანობა დაიბრუნოს. მას დღეს კვლავ აწუხებს ჭრილობები, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვით გამოწვეული...***

საქართველოსთვის დამოუკიდებლობის დღე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულია, რომელსაც მთელი ქვეყანა კულტურული და სხვადასხვა სახის ღონისძიებებით ხვდება. 26 მაისი აღინიშნა დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაშიც. გაიმართა მკითხველთა კონფერენცია, „26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“ დევიზით – „ეს დღე ჩვენია“. ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს და დღე გაალამაზეს დედოფლისწყაროს მე-2 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა და პირველი საჯარო სკოლის მოსწავლემ ნატალი ალუღიშვილმა. კონფერენციას სტუმრობდნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი **ირაკლი შიოლაშვილი,** მუნიციპალიტეტის მერი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **ნუგზარ პაპიაშვილი**, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი **მეუფე დიმიტრი,** მერის მოადგილეები **მალხაზ მერაბიშვილი** და **დავით ფხოველიშვილი**, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **თამარ თამაზაშვილი**, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი **ილია მარტყოფლიშვილი** და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები.

სტუმრებს 5-6 წლიანთა ჯგუფი „გვირილები“, ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ ეპიზოდით შეხვდნენ. დარბაზში გაისმა საქართველოს ჰიმნი, რასაც მოჰყვა ლექსი სამშობლოზე. დამსწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა მანანა მაჭარაშვილმა მიმართა. ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა სამშობლოს სიყვარულითა და პატრიოტიზმით გაჯერებული ლექსები წაიკითხეს. თინათინ ელაშვილმა კონფერენცია გააგრძელა თემით: „მსოფლიოს უძველესი დინასტია – ბაგრატიონები“. პირველი საჯარო საკოლის მოსწავლემ, ნატალი ალუღიშვილმა კი „1918-1921 წლების საქართველო“ მიმოიხილა. კონფერენციის დასასრულს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლემ, გიორგი ქადაგიძემ წაიკითხა ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი „ჰიმნი თავისუფლებას“.

26 მაისი მიულოცეს და სიტყვით გამოვიდნენ: ირაკლი შიოლაშვილი, **საქართველოს პარლამენტის წევრი:** „დამოუკიდებლობას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა და ფასი აქვს. ის ჩემთვის ნიშნავს, რომ ის სივრცე, სადაც მე ვარ, იყოს თავისუფალი. ეს სივრცე არის ჩემი ოჯახი, რაიონი, ჩემი სამშობლო. ჩემთვის არსებობს დამოუკიდებლობა, როგორც ქვეყნის გარე ძალების მიერ შექმნილი, ასევე შიდა დამოუკიდებლობა, ქვეყნის ხელისუფლების ქმედებით განპირობებული. ეს ორი ფაქტორია, რომელიც ქმნის თავისუფალ სივრცეს-ერთი გარე ფაქტორია, როდესაც ქვეყანა არ უნდა იყოს დამოკიდებული სხვა ქვეყანაზე, მეორე კი-შიდა ფაქტორი, როცა შენი ხელისუფალი უნდა გიქმნიდეს ისეთ გარემოს, სადაც თავისუფლების შეზღუდვის განცდა არ გექნება. მე ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენი ხელისუფლება ქვეყანაში ქმნის ისეთ გარემოს, სადაც მოქალაქეები თავს თავისუფლად გრძნობენ. რაც შეეხება გარე ფაქტორებს, დღეს ბევრი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. იცით, რომ ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ, მაგრამ ძალიან დიდი ქვეყანა გვაქვს, ჩვენი ისტორიითა და კულტურით. დღესაც, როცა ამ პატარების გამოსვლას ვუყურებდი, მივხვდი, როგორი იქნება ჩვენი ქვეყნის მომავალი- ეს ბავშვები არიან თავისუფლები შინაგანად და ასეთივე ქვეყანასააშენებენ. ამიტომაცაა, რომ მიუხედავად ჩვენი მცირერიცხოვნებისა, მაინც ვახერხებთ, რომ გარე ფაქტორებისგანაც კი დაცულები ვიყოთ. გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს!“

მეუფე დიმიტრი – **ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი**: „ზოგადად, ჩვენი ბუნება ისეთია, რომ ქართველებისათვის მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის განცდა. ჩვენ ბევრი ერი და ხალხი ვიცით, (მე არავის არ ვაკნინებ, უბრალოდ, ფაქტის კონსტანტირებას ვახდენ), რომლისთვისაც მთავარია, იცხოვრონ კარგად, მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ქვეყანაში იცხოვრებენ. მაგრამ ქართველები ასეთები არ ვართ. პროგრესული საზოგადოების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ჩვენი შვილები იყვნენ ბედნიერები არა სხვაგან, არამედ ჩვენს სამშობლოში. და ეს სიკეთე, ეს ბედნიერება, რაც წინაპრებმა მოიტანეს, როგორც სანუკვარი ძღვენი და საჩუქარი, იყოს ხელშეუხებელი. მომხდარიყოს ამ დამოუკიდებლობის უფრო ფართო ხარისხში აყვანა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი**: „ გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს. ძალიან კარგი სლოგანია -„ეს დღე ჩვენია“! ეს დღე, ჩვენი დამოუკიდებლობა, არაერთი თაობის ბრძოლის შედეგია, არაერთი განწირული სიცოცხლის ფასად მოპოვებული განძია. ჩვენ ვალდებულები ვართ, მოვუფრთხილდეთ მას, რათა ჩვენმა მომავალმა თაობამ, შვილებმა და შვილიშვილებმა, ასევე იცხოვრონ თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში“.

ნუგზარ პაპიაშვილი, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:**

„მოგილოცავთ ყველას საქართველოს დამოუკიდებლობის ღირსშესანიშნავ დღეს!ეს მთელი საქართველოსთვის, დიდისთვის, პატარასთვის, განსაკუთრებული დღეა, განსაკუთრებული თარიღია. ვისურვებდი, რომ გარეშე მტრებს აღარასოდეს შეეწუხებინოს ჩვენი ქვეყანა და არასოდეს დასდგომოდეს მას დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე“.

დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა „პურის, ღვინისა და ფოლკლორის“ ფესტივალი, რომელიც ქ. დედოფლისწყაროში გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულმა ერთეულებმა ტრადიციული სუფრა და ფოლკლორი წარმოადგინეს. ფესტივალის პარალელურად გაიმართა სპორტული აქტივობებიც. ფესტივალზე დედოფლისწყაროელმა მეწარმეებმა წარმოადგინეს მათ მიერ შექმნილი პროდუქცია .

ფესტივალს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი **მეუფე დიმიტრი კაპანაძე,** მუნიციპალიტეტის მერი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი,** სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი **ირაკლი შიოლაშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **ნუგზარ პაპიაშვილი** და დედოფლისწყაროს სასაზღვრო სამმართველოს ხელმძღვანელი **მალხაზ ლომსიანიძე** სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად დაესწრნენ.



დედოფლისწყაროში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 101 წლის აღნიშვნა კულტურის სახლის სცენაზე გაგრძელდა, სადაც ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით გალა-კონცერტი გაიმართა.

ღონისძიებაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსთან, თამარ თამაზაშვილთან ერთად ,,პურის, ღვინისა და ფოლკლორის“ ფესტივალში გამარჯვებულები დააჯილდოვა.

კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ – გიორგი ბენაშვილი (**ჟიურის თავმჯდომარე**), მაია ბაიდოშვილი, იოსებ ბექანიშვილი, ლეილა ბოსტოღანაშვილი, ციცო ფიროსმანაშვილი, დალი ბაღაშვილი და ცარო მარტიაშვილი, გამოავლინა გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში: **,,საუკეთესო პური“**- ვერა ოზაშვილი (სოფელი ოზაანი), **საუკეთესო გლეხური ღვინო** (თეთრი) – ბიძინა პაპაშვილი, **„საუკეთესო გლეხური ღვინო“** (შავი) – „ნოდარ ბაღაშვილის მარანი“, **,,ტრადიციული მარნის ღვინო“**– „ნასრაშვილების მარანი“, **საუკეთესო ეთნოგრაფიული კუთხე** – „გოდერძი გონაშვილის მარანი“.

მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულსა და ნომინაციებში გამარჯვებულებს, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მიერ, გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

ფესტივალზე ფართოდ იყო წარმოდგენილი გამოფენა „წარმოებულია დედოფლისწყაროში“... მეწარმეებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და სიგელები – სამეწარმეო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

სახალხო დღესასწაულზე, მერიის წინ მდებარე სკვერში, მოწყობილი იყო ხელნაკეთი ნივთების, ხალხური რეწვის ნიმუშებისა და ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრების გამოფენები.

ფესტივალზე მოეწყო ტექნიკის გამოფენაც. გალა-კონცერტზე დიპლომებით დაჯილდოვდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის მიერ ორგანიზებულ ესეების კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდებიც.

ახალგაზრდობის ცენტრმა – „იბერია“, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა, გამოაცხადა ესეების კონკურსი – „თანამედროვე ახალგაზრდობის პრობლემები“. კონკურსში საჯარო სკოლების 12 უფროსკლასელმა მიიღო მონაწილეობა.

პირველი ადგილი დაიკავა ელენე ჩოხელმა – **ზემო ქედის №2 საჯარო სკოლის მოსწავლემ**, მეორე ადგილი წილად ხვდა ნინო ფიროსმანაშვილს – **გამარჯვების საჯარო სკოლიდან**. კონკურსის ორგანიზატორი იყო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ახალგაზრდობის საქმეთა მთავარი სპეციალისტი ლელა ბიღიაშვილი.

„პურისა და ღვინის“ ფესტივალი, ტრადიციულად, ქალაქის კულტურის სახლში გამართული სადღესასწაულო კონცერტით, ახალგაზრდული დისკოთეკითა და გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.







# „საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი - კახეთი 2019“ გაიმართა

30 მაისს, თელავის მუნიციპალიტეტში, წინანდლის მამულში მდებარე სასტუმროში - “Radisson Collection Estate Tsinandali” საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით „საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი - კახეთი 2019“ გაიმართა.

ფორუმი, რომელშიც საქართველოს მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და მაღალი რანგის უცხოელი ინვესტორები მონაწილეობენ, მისასალმებელი სიტყვით **გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.**

მისასალმებელ სიტყვაში პრემიერმა რეგიონების განვითარების მნიშვნელობაზე, კახეთის მხარის ეკონომიკურ პოტენციალზე, ტურიზმის, მეღვინეობის, კაკლოვანი კულტურებისა და ზეთისხილის განვითარების პერსპექტივებზე გაამახვილა ყურადღება.

„კახეთი საქრთველოს ულამაზესი კუთხეა, თავისი ისტორიით, ტრადიციებით, ის არის მეღვინეობის აკვანი და მას აქვს უნიკალური წვლილი შეტანილი ჩვენს კულტურაში. მეღვინეობა ძალიან აქტიურად ვითარდება კახეთში, თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ გვაქვს განვითრების მნიშვნელოვანი პოტენციალი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ, ბოლო წლებში, კაკლოვანი კულტურების პოპულარიზაცია მოხდა კახეთის რეგიონში. ამ კუთხით მნიშნელოვანი ინვესტიციები იქნა განხორციელებული.

კახეთი ხდება ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული ტურისტული მიმართულება. მნიშნელოვანია, რომ ეს მიმართულება კიდევ უფრო გავააქტიუროთ. ეს კუთხე არის უნიკალური ისტორიის მატარებელი, ძალიან ბევრი ისტორიული ძეგლი, როლითაც თითოეული ქართველი ამაყობს, არის სწორედ ამ კუთხეში, ბუნებრივია ამ ნაწილში ინფრასტრუქტურის განვითარებას ენიჭება დიდი როლი. მე მიხარია, რომ ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც დავგეგმეთ კახეთში, მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკით. ამიტომ, ყველას მინდა მოვუწოდო, მათ შორის ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, რომ სწორედ ეს ტემპია შესანარჩუნებელი, რათა ინფრსატრუქტურა რაც შეიძლება დროულად განვავითაროთ და კიდევ უფრო მეტი ტურისტი მოვიზიდოთ ამ ულამაზეს კუთხეში“- აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა - მამუკა ბახტაძემ სიტყვით გამოსვლის დროს.

საერთაშორისო საინვესტიციო რეგიონულ ფორუმში 20-ზე მეტი საერთაშორისო და 150-მდე ქართული კომპანია იღებდა მონაწილეობას.

რეგიონული საინვესტიციო ფორუმის მთავარ მიზანს წარმოადგენს სამომავლო, საინვესტიციო პერსპექტივების განხილვა და მეტი ინვესტიციის მოზიდვა კახეთის რეგიონისთვის. კახეთი ქვეყნის მასშტაბით, მეღვინეობის, კაკლოვანი კულტურების გაშენებისა და ზეთისხილის წარმოების კუთხით ყველაზე მზარდი, ხოლო ტურისტული დანიშნულების თვალსაზრისით ერთ-ერთი ძირითადი რეგიონია. ეს მხარე, ინვესტორების მოთხოვნის შესაბამისად, ინვესტიციის განხორციელებისთვის ბრწყინვალე შესაძლებლობებს ქმნის.

ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა **კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ირაკლი ქადაგიშვილმა.**

„კახეთის რეგიონში საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმის გამართვის იდეა დიდი ხანია არსებობს. გვსურდა კახეთის რეგიონის განვითარების ერთიანი, ჩამოყა-




ლიბებული ხედვა და საინვესტიციო წინადადებები მუნიციპალიტეტების მიხედვით, მთავრობის წევრებისთვის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისა და უცხოელი ინვესტორებისთვის გაგვეზიარებინა. ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობა და სიძლიერე მისი რეგიონების ეკონომიკურ სიძლიერეზე დგას. ჩვენი მიზანია, ის ეკონომიკური იმპულსები, რაც ჩვენს რეგიონში არსებობს ქვეყნის ეკონომიკურ სარბიელზე კიდევ უფრო მეტი დატვირთვით გავიტანოთ. დარწმუნებული ვარ, „საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი - კახეთი 2019“ კარგი მაგალითი, საუკეთესო პრაქტიკა გახდება ქვეყნის სხვა რეგიონებისთვის, რომელთაც რეგიონის ტრადიციისა და ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით მიეცემათ შესაძლებლობა, გააუმჯობესონ საინვესტიციო გარემო, გააცნონ განვითარების ხედვები და გაუზიარონ ინიციატივები ინვესტორებს. ვუსურვებ განვითარების ახალ ტალღას კახეთს და საქართველოს დანარჩენ რეგიონებს. გისურვებთ მეტ ინვესტიციას რეგიონებში“, -აღნიშნა ირაკლი ქადაგიშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

ფორუმის ფარგლებში, სხვადასხვა პანელზე, მეწარმეობის, ენერგეტიკისა და წარმოების მიმართულებებით სექტორული დისკუსიები და სესიები გაიმართა.

ფორუმის მეორე დღეს, მოეწყო უცხოელი ინვესტორებისთვის ასევე ფორმატით გათვალისწინებული კულტურულ-შემეცნებითი ტურები კახეთის რეგიონის პოტენციალის უკეთესად გაცნობის მიზნით, რაც დაახლოებისა და დიალოგის წარმოების შესაძლებლობას ქმნის ქართული და საერთაშორისო კომპანიებისთვის.

„საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი - კახეთი 2019“ საქართველოს მთავრობისა და კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ერთობლივი ინიციატივით გაიმართა.

# „ექსკურსიებს გაცილებით დიდი ფუნქცია აქვთ, ვიდრე ქეიფი და დროსტარებაა“ - უნდა გაუქმდეს თუ არა ექსკურსიები?

ლაგოდეხის ნაკრძალში დატრიალებულმა ტრაგედიამ, რომელსაც 16 წლის გოგონას სიცოცხლე ემსხვერპლა, წამოჭრა საკითხი, უნდა ვატაროთ თუ არა სკოლის მოსწავლეები ექსკურსიაზე. დღეს კი კიდევ ერთი მოსწავლის სიცოცხლე აღმოჩნდა საფრთხის ქვეშ. 7 წლის ბიჭი ძეგლნაკრძალის ტერიტორიაზე სიმაღლიდან გადმოვარდა და დაცემისას სხეულის დაზიანებები მიიღო.

**რა უნდა ვიცოდეთ ექსკურსიებზე და არის თუ არა მასზე უარის თქმა გამოსავალი, ამ თემაზე ჩვენს კითხვებს პასუხობს გეოგრაფი, მოგზაური, გიდი, ფეისბუქ ჯგუფ “მეგობრებთან ერთად აღმოაჩინე საქართველოს“ დამფუძნებელი** თინათინ მოსიაშვილი.

- რასაკვირველია, ძალიან მძიმე შემთხვევაა, რაც მოხდა და პირველყოვლისა, ვუსამძიმრებ გარდაცვლილი გოგონას ოჯახის წევრებს და მასწავლებლებს, რადგან ეს არის ურთულესი განსაცდელი და გამოცდილება მასწავლებლებისთვისაც. მე ძალიან კარგად მესმის, რას ნიშნავს ეს პასუხისმგებლობა.

ასეთი შემთხვევების შემდეგ ხშირად საკითხი ასე დგება: უნდა ვატაროთ თუ არა მოსწავლეები ექსკურსიებსა და ლაშქრობებზე. ჩემი აზრით, ეს ნამდვილად არასწორად დასმული კითხვაა. თვითმფრინავის კატასტროფებისა თუ ავტოშემთხვევების მიუხედავად, ჩვენ დავფრინავთ თვითმფრინავით, ვმგზავრობთ ტრანსპორტით.

განათლების სისტემაში არსებული პრობლემების მიუხედავად, გავაუქმოთ სკოლა? რასაკვირველია, არა!

- ექსკურსია, ჩემი, და არა მხოლოდ ჩემი აზრით, ისეთივე ნაწილია საგანმანათლებლო პროცესისა, როგორც საგაკვეთილო პროცესი. შეიძლება ითქვას, ხანდახან უფრო მეტად მნიშვნელოვანიც, ვიდრე რომელიმე კონკრეტული თემა თუ გაკვეთილი. ექსკურსიის ფუნქციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ შემეცნებისა და თვალსაწიერის გაფართოების პროცესია და ამ მხრივ ექსკურსია ძალიან ჰგავს საგაკვეთილო პროცესს, გაკვეთილს ღია ცის ქვეშ. ეს კი გაცილებით საინტერესოა, გაცილებით სახალისო, თუმცა, ამავე დროს, საპასუხისმგებლოც.

მე რომ მკითხოთ, არათუ ჩვეულებრივ კულტურულ-შემეცნებით ექსკურსიაზე, მოსწავლე სკოლას ისე არ უნდა ამთავრებდეს, რამდენიმედღიან ლაშქრობაში რომ არ მოუწიოს წასვლა.

უნივერსიტეტებში ვმუშაობ, ტურიზმის მიმართულების სტუდენტებს ვუკითხავ ლექსებს და კარგად ვიცი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სამწუხაროდ, რა მოუმზადებელი ახალგაზრდები მოდიან.

ბუნებაში ორიენტაცია, კარვის გაშლა, საველე პირობებში კვება - ეს უნარები და საერთოდ მოლაშქრეობის კულტურა - ჩემი აზრით, ახალგაზრდებში სწორედ სკოლამ უნდა ჩამოაყალიბოს.

„მშობლებმა ატარონო”, - წერდა წელან ერთი მშობელი, მესმის, რომ უდიდესი ტრაგედია მოხდა, ხდება ასეთი შემთვევებიც, მაგრამ სკოლას დიდი როლი აქვს ამ საქმეში.

ამ შაბათ-კვირას სუდენტებთან ერთად



ვიყავი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, ერთი ჯგუფი პანტიშარამდე და ნაწილი მიჯნისყურემდე ჩავედით. მიჯნისყურეს (საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი წერტილია) ვინ ჩივის, ბევრი ჩემი სტუდენტი ისე მოდის, რომ მცხეთაში ან კახეთში არ არის ნამყოფი.

ექსკურსიებსა და სასკოლო ტურებს გაცილებით დიდი ფუნქცია და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რაიმე ძეგლის მონახულება და მერე ქეიფი და დროსტარებაა. თუმცა კლასის ერთად ყოფნას, თამაშს, გართობას, დაახლოებას და თუნდაც მწვადის შეწვასაც კი, აქვს თავისი ხიბლი, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მთავარი. სკოლამ, მასწავლებელმა, კლასის ხელმძღვანელმა წინასწარ კარგად უნდა გაიაზრონ, რატომ მიდიან ტურზე.

**- ექსკურსიების დროს ვინ მიჰყვება ბავშვებს, ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა?**

- დავიწყოთ იქედან, რომ ექსკურსია უნდა იყოს კარგად დაგეგმილი და გააზრებული, გავიაზროთ, სად და რა მიზნით მიგვყავს ბავშვები, ექსკურსია უნდა იყოს საგაკვეთილო პროცესის გაგრძელება. რასაკვირველია, ცალკე საკითხია ექსკურსიის მართვა, რომელიც, ცხადია, უფრო რთულია, ვიდრე საგაკვეთილო პროცესი.

- მე ვიცი სკოლები, როცა მშობლები ჩვეულებრივ ექსკურსიებზე თითქმის არ დაჰყავთ, განსაკუთრებული რაიმე შემთხვევის გარდა. რასაკვირველია, კარგი იქნება, თუ ტურს უძღვება გამოცდილი გიდი. ზოგადად არსებობს ნორმატივი იმის, რამხელა ჯგუფს რამდენი გამყოლი უნდა ჰყავდეს. სალაშქრო მარშრუტზე თავსა და ბოლოში, დიდი ჯგუფის შემთხვევაში შუაშიც რამდენიმე გამოცდილი მეგზური უნდა იყოს. ეს აქსიომაა.

- მშობლები ხშირად ეხმარებიან მასწავლებელს, მაგრამ ხან, პირიქით, არის შემთხვევები, როცა შეიძლება ხელიც შეუშალონ ექსკურსიის მიზნის შესრულებაში. მასწავლებელმა დაგეგმვის ეტაპზე უნდა განსაზღვროს, რა და როგორ სჭირდება, თუმდაც რომელ კოლეგებთან ერთად ურჩევნია დასახული მიზნის მიღწევა.

- ზემოთ აღიშნული კონკრეტული შემთხვევის დროს დაისვა კითხვა, რამდენად რთული მარშუტი იყო მოსწავლეებისთვის ნინოსხევის ჩანჩქერი?

- მე რამდენჯერმე ვარ ნამყოფი ამ მარშრუტზე, დიდი ჯგუფებიც გვყოლია. ეს მარშრუტი არ მიეკუთვნება ძალიან რთული მარშუტების კატეგორიას. დაახლოებით 14 კილომეტრის გავლა გვიწევს ტყეში, მდინარის ხეობაში. წესით, უფროსკლასელებმა უპრობლემოდ უნდა შეძლონ მისი გავლა. თუმცა, მაისი ამ მიმართულებისთვის ცოტა ადრეა, მთაში ჯერ კიდევ თოვლი დევს, წვიმების პერიოდია და წვიმებსა და ადიდებულ მდინარეს ხშირად ხის ხიდები მიაქვს. სირთულეა ისიც, რომ ტელეფონიც არ იჭერს. ამ მარშრუტზე ივლის-აგვისტოა საუკეთესო პერიოდი.

ახლა ყველა მასწავლებელმა იცის, რომ ექსკურსიის დააგეგმვისას გასათავლისწინებელია სეზონური და ასაკობრივი ფაქტორები.

კიდევ ერთი რჩევა, დაცულ ტერიტორიაზე შესვლისას აუცილებლად მიდით კონკრეტული დაცული ტერიტორიის ოფისში, აუცილებლად გაიარეთ რეგისტრაცია. იქ მომუშავე ადამიანები, ვიზიტორთა სამსახურის წარმომადგენლები იქნებიან თუ რეინჯერები, ჩვენზე კარგად იცნობენ თავიან მხარეს და ჰკითხეთ მათ რჩევა. ამავე დროს გაეცანით ცენტრში არსებულ მუზეუმს ან სტენდებს, სადაც ძალიან საინტერესო მასალაა გამოფენილი.

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეგულაციებითაც არის განსაზღვრული, ტექდათვალიერებისა და დაზღვევის არსებობა, ასევე ისეთი ადამიანის ყოფნა მარშრუტზე, რომელსაც პირველადი სამედიცინო დახმარების კურსი მაინც აქვს გავლილი.

ცხადია, არასოდეს 100% არავინ არის დაცული უბედური შემთხვევებისგან, მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ექსკურსიებზე წასვლისას, საფრთხის შემცველი რისკი დავიდეს მინიმუმადე.

**- და მაინც რატომ არის ექსკურსიებზე სიარული მნიშვნელოვანი?**

- დღეს ჩვენს ქვეყნას ძალიან სჭირდება ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობენ თავიან სამშობლოს, იციან მისი სატკივარი. აი, ხომ ბევრს ვსაუბრობთ დავით გარეჯზე და როგორ ფიქრობთ, ხალხშიც და ხელისუფლებაშიც რამდენია, ვინც ზუსტად იცის, რა პრობლემა გვაქვს იქ, ან სად გადის საზღარი? არადა, ასეთი საკითხები თუნდაც მხოლოდ გაკვეთილებიდან არ და ვერ ისწავლება. იქ უნდა ჩახვიდე, იქ უნდა ნახო. რამდენიც უნდა ვესაუბრო მე სტუდენტს ან მოსწავლეს ხევზე, ხევსურეთზე, თუშეთზე, ხევსურეთზე, თავად თუ არ ნახავს, ვერ იგრძნობს. დილა რომ თენდება და მიჯნისყურეს მზის სხივი ეფინება, ან შატილის კოშკები ნათდება, ან გახსნილი მყინვარი დაჰყურებს გერგეტს, ეს თავად უნდა ნახოს! თავად უნდა ნახოს, თორემ სხვაგვარად იქნება ჩემი ემოცია. ქვეყნის ისტორია და გეოგრაფია მხოლოდ წიგნებიდან, რუკებიდან და ფილმებიდან არ ისწავლება.

ექსკურსიები, ტურები, ლაშქრობები სწორედ ის რესურსებია, რასაც ქვეყნის ცოდნისა და სიყვარულისკენ მივყავართ. კიდევ ერთხელ ვამბობ, მოლაშქრეობისა და ექსკურსეებზე სიარულის კულტურაც სწორედ პირველი კლასიდანვე უნდა დაინერგოს.

# რაიონში საჭადრაკო კულტურა ფეხს იდგამს...

25 მაისს დედოფლისწყაროს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი – გია გიორგაძე თანმხლებ პირებთან ერთად სტუმრობდა. მან დედოფლისწყაროელ პატარა მოჭადრაკეებს საჩუქრად ავეჯი, ინვენტარი და საჭადრაკო ლიტერატურა ჩამოუტანა. სტუმრებმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დირექტორთან – აკაკი ნატროშვილთან და ჭადრაკის მწვრთნელ – გიორგი კიკილაშვილთან ერთად საჭადრაკო პრობლემები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივები დასახეს. გია გიორგაძე ახალგაზრდობის ცენტრში – „იბერია" „უფროსკლასელთა ლიგის" წევრებს შეხვდა და გაესაუბრა. დასასრულ, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა პატარა მოჭადრაკეებთან თამაშის ერთდროული სეანსი გამართა, შემდეგ კი მის მიმართ გაწეული ღირსეული პაექრობისთვის რამოდენიმე მოთამაშეს საჩუქრები გადასცა.

ამ შაბათ-კვირას, 1-2 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტურნირი რაპიდ-ჭადრაკში იმართება 8-დან 14 წლამდე ვაჟებსა და გოგონებს შორის სადაც ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის, გია გიორგაძის მიწვევით ოთხი მოთამაშე:გიორგი გველუკაშვილი,დეა ბოსტოლანაშვილი, სალომე ჩხაიძე და ილია ტოკლიკიშვილი იასპარეზებენ. წარმატებებს ვუსურვებთ დამწყებ მოჭადრაკეებს...



# 26 მაისი- საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!




26 მაისს საქართველოში დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა. ზუსტად 91 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა სცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ, შეწყვიტა. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, შეძლო.

ეს დღე მუნიციპალიტეტშიც მრავალმხრივ აღინიშნა როგორც ქალაქის მთავარ მოედანსა და კულტურის სახლში, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის სკოლებში.

28 მაისს N1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში მიგვიწვიეს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე- „26 მაისი საქართელოს დამოუკიდებლობის დღეა".

სკოლაში დაარსებულმა „ხელოვანთა კლუბმა" ნინო ლომსაძის ხელმძღვანელობით, სადაც ჩართულნი არიან, როგორც სკოლის თვითმმართველობის წევრი მოსწავლეები, ასევე ნებისმიერი მოხალისე მოსწავლე, ერთობლივი ღონისძიება გამართეს. მთლიანად პატრიოტულ თემატიკაზე აგებული ღონისძიება სკოლის ისტორიის პედაგოგის, ბელა კიკილაშვილის ორგანიზებით მოეწყო. სკოლის მეცრეკლასელების ელენეს და გიორგის მოდერირებულ სამშობლოზე ზეიმს არ აკლდა არც იმედელების ცეკვა „ქართული" და „მთიულური", არც ჰ.გონაშვილის სკოლის ბავშვების „შავლეგო" და „ბინდისფერია სოფელი", არც გიგას მიერ მხატვრულად წაკითხული „ღმერთი და ხელები", საბას წაკითხული „საქართველო", სკოლის გუნდის მიერ ნამღერი"ჩემი საქართველო აქ არის", ლიზის არაჩვეულებრივად შესრულებული „დაიგვიანეს", მერიკოს ნამღერი „აფხაზეთო, ჩემო" და ასე შემდეგ პატრიოტულ მოტივებზე აგებული შეხვედრა დასასრულს „მრავალჟამიერით" დაგვირგვინდა და იქ დამსწრე საზოგადოებას, მოსწავლეებს, მოწვეულ სტუმრებს კიდევ ერთხელ დაგვანახეს და დაგვარწმუნეს, რომ ხვალ ეს მომავალი თაობა აუცილებლად იტყვის თავის სათქმელს ყველა სფეროში და აუცილებლად ითამაშებს მნიშვლეოვან როლს ჩვენი სამშობლოს სტაბილური მომავლის შექმნაში.




დასასრულს სკოლის დირექტორმა ეთერ ოთარაშვილმა და ღონისძიების ორგანიზატორმა ბელა კიკილაშვილმა მადლობა გადაუხადეს მოსწავლეებს ასეთი მხატვრული და სამშობლოს სიყვარულით გაჯერებული ღონისძიების მოწყობისთვის.

ელზა ხარაშვილი

ი უ ბ ი ლ ა რ ი

# საყვარელ საქმეს შელეული ნახევარი საუკუნე



1949 წლის 3 ივნისს გამარჯვებაში, გიორგი (გოგია) ღორაშვილის და ბაბულია მოსულიშვილის მშრომელ და კეთილსინდისიერ ოჯახში, ის მესამე შვილად დაიბადა. იმ დროს მესამე შვილი „მოდაში" არ იყო, მითუმეტეს, თუ ქალიშვილიც ჰყავდა ოჯახს და ვაჟიც. ჰოდა, „შეპარულ", არმინდა შვილს, დედამ გულნარა დაარქვა. პაპამ, სანდრო ღორაშვილმა, სოფელი მეტსახელად „ჯიჯიას" რომ ეძახდა, კვირის თავზე სახლში მობრუნებულმა, გულისწყრომა ვერ დაფარა ამ ამბის გამო და მკაცრად განაცხადა: ნარსა და ეკალს მიიღებს, ვინც ამ გოგოს გულნარას დაუძახებს, ის დღეიდან ნანიკო იქნებაო. ასეც იყო, ვიდრე სკოლაში არ მივიდა, არც კი იცოდა, რომ გულნარა ერქვა, რადგან ყველა ნანიკოს ეძახდა. დღესაც ასეა, მას შინაურობაში ისევ ნანიკო ჰქვია, ხოლო საზოგადოებისთვის 50 წელია, გულნარა მასწავლებელია. ქალბატონი გულნარა, ქ. დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგია, მაგრამ აქამდე იყო რთული და საინტერესო გზა როგორც პირადი ცხოვრების კუთხით, ასევე პროფესიული ზრდის თვალსაზრისით.

გამარჯვების საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, გორის ნ.ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩააბარა იმ მიზეზით, რომ „არ მინდა" შვილს ვერაფრით ელეოდნენ მშობლები და მის გარეშე სახლი ცარიელი იყო, რადგან უფროსი და სტუდენტი გახლდათ, ძმა კი სამხედრო სავალდებულო ვალს იხდიდა ქვეყნის წინაშე. ბედმა გაუღიმა და სწორედ იმხანად, გამარჯვების სკოლაში საქმის მწარმოებლის ვაკანსია გაჩნდა. მომავალ პედაგოგს უარი არ უთხრეს და სკოლაში მისი პირველი ნაბიჯები სწორედ აქედან დაიწყო. სწორედ ამ პოზიციაზე მუშაობისას სრულად გაეცნო სასკოლო ცხოვრებას, რადგან ეს იყო რგოლი, რომელთან შეხებაც სკოლაში მომუშავე ყველა თანამშრომელს ჰქონდა. ბუნებითაც თბილი და რბილი ხასიათის პატრონს მაშინ უფრო მკვეთრად ჩამოუყალიბდა კომუნიკაბელურობის უნარი, გაეცნო ყველა თანამშრომლის უფლება-მოვალეობას, მიეცა კარგის და ცუდის გარჩევის შესაძლებლობა. ასე რომ, ის 3-4 წელი დიდი გამოცდილების მიმცემი იყო მისთვის. ის-ის იყო, დიპლომი აიღო და გამარჯვების სკოლის ერთ-ერთმა საუკეთესო პედაგოგმა, ბიოლოგიის მასწავლებელმა გულო ბენაშვილმა ოჯახი შექმნა და მუდმივ საცხოვრებლად სოფელ ჯაფარიძეში (ახლანდელ სამრეკლოში) გადავიდა. გულნარა გამარჯვების სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლად დაინიშნა. მის წინაშე იყო სერიოზული ამოცანა - მოსწავლეებს არ უნდა ეგრძნოთ, რომ გამოცდილი მასწავლებელი წავიდა და ახალგაზრდა მასწავლებელმა მისი ნიშა ვერ დაიჭირა. ამისთვის ის დღე და ღამ შრომობდა, ილრმავებდა ინსტიტუტში მიღებულ ცოდნას და თითოეული გაკვეთილისთვის სერიოზულად ემზადებოდა. თანდათან მყარდებოდა პოზიციები და კარგი პედაგოგის იმიჯს საძირკველი ეყრებოდა. დღე დღეს მისდევდა და ოჯახის შექმნის დროც მოვიდა. 1974 წლის მაისში იქორწინა ქვემო მაჩხაანელ მერაბ შანშაშვილზე, რომელიც, ასევე ორსახელა აღმოჩნდა და მას უმრავლესობა ჯემალით იცნობდა. ჭკვიანი, წესიერი, განათლებული ადამიანი გახლდათ ბატონი ჯემალი. პროფესიით აგრონომი იყო და პარალელურად პარტიული ფუნქციონერიც (მაშინ ეს დიდი პლუსი და წინსვლის პერსპექტივის მაჩვენებლად ითვლებოდა). პირველადი პარტიული ორგანიზაციის მართვის დიდი გამოცდილება ჰქონდა და ყველგან, სადაც კი იმუშავა, ეს საზოგადოებრივი საქმიანობა მისი შრომითი ბიოგრაფიის შემადგენელი ნაწილი იყო მუდამ. გართულდა გულნარა მასწავლებლის დღის რეჟიმი. ის ქვემო მაჩხაანიდან დადიოდა გამარჯვებაში, მაგრამ მის პედაგოგიურ საქმიანობას არაფერი დაჰკლებია. ასე გრძელდებოდა რამდენიმე წელი. 1975 წლის 24 თებერვალს პირველი შვილი გოგიტა შანშაშვილი მოევლინა ქვეყანას, ოჯახის დიდი სიხარული და სამამულო ომში დაღუპული ბიძის მოსახელე. მალევე დადგა მეორე შვილის ყოლის საკითხი და ... სწორედ მაშინ ჩახედა სიკვდილს თვალებში გულნარამ. 6 თვის ფეხმძიმეს, უვიცმა და უცოდინარმა გინეკოლოგმა, ვინმე ჯორბენაძემ, რომელიც, რაისაავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების გამგედ, თბილისადან ვიღაც დიდი კაცის პროტექციით მოავლინეს, საკეისრო კვეთის ოპერაცია გაუკეთა, ნაყოფიც დაღუპა და არაპროფესიონალურად ჩატარებული ოპერაციის შემდგომი გართულებების გამო ქალბატონი გულნარა უნაყოფობისთვის გაწირა. ასე დარჩა გოგიტა დედისერთა შვილად, ასე დარჩა გულნარას ცხოვრებაში ის დრო მტკივნეულ მოგონებად. განმარტებისთვის მინდა ვთქვა, რომ ეს არ იყოს ჯორბენაძისთვის პირველი და ერთადერთი შეცდომა. ძველ თაობებს კარგად ახსოვთ, მის ხელში გინეკოლოგიურად დაინვალიდებული არაერთი დედოფლისწყაროელი ქალბატონი, რომლებსაც, მატერიალური გამორჩენის მიზნით, საკეისრო კვეთებს უტარებდა, მაშინ, როდესაც მისი ქირურგიული ცოდნა ნულის ტოლფასი იყო. ოპერაციის შემდგომმა გართულებებმა და სისუსტემ დღის წესრიგში ქვემო მაჩხაანიდან დედოფლისწყაროში გადმოსახლების აუცილებლობაც დააყენა. და რადგან ჯემალის დები და ახლობლები სწორედ აქ ცხოვრობდნენ, მათაც აქ, გორკის ქუჩაზე, დაიდეს ბინა, გამართეს მშვენიერი სახლ-კარი და...ცხოვრებამ თავის კალაპოტში მოაქცია ყველაფერი. გულნარა ახლა დედოფლისწყაროდან დადიოდა გამარჯვების სკოლაში და საყვარელ მოსწავლეებს არ ღალატობდა. რამდენიმე წელში დედოფლისწყაროს სკოლა-ინტერნატში დირექტორის ადგილი განთავისუფლდა და, როგორც პერსპექტიული, საიმედო ახალგაზრდა კადრი, ის სკოლის დირექტორად გადმოიყვანეს. უაღრესად რთული დრო ედგა სკოლას - ინტერნატის გაუქმების პროცესი იწყებოდა. ბევრი სიძნელის გადალახვა მოუხდა ქალბატონ გულნარას ამ რეორგანიზაციის პროცესში. სუფთა ხელებით და წრფელი ენთუზიაზმით მის ხელში ინტერნატმა სახე იცვალა და ქალაქის №3 საშუალო სკოლად ჩამოყალიბდა. სკოლის ცხოვრება გახალისდა, ახალ-ახალი იდეები ჩნდებოდა, ტარდებოდა საინტერესო ღია გაკვეთილები და სხვადასხვა ღონისძიებები, სკოლას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, მაშინ, როდესაც სხვა სკოლებში შეშის ღუმელებით თბებოდნენ, მესამე სკოლაში შეუფერხებლად მუშაობდა ცენტრალური გათბობა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ხომ იყვნენ ფულის მოყვარული, ცდუნებასაყოლილი „ზემდგომები", როლებსაც სულაც არ აწყობდათ სუფთა ხელებით, სინდისიერად მომუშავე ახალგაზრდა დირექტორი და... „მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო", ხომ გაგიგონიათ. ასე მოხდა აქაც. გულნარა იძულებული გახდა, დირექტორის პოსტი დატოვა და პედაგოგად გადავიდა. ერთის მხრივ გულს უკლავდა უსამართლობა, მეორეს მხრივ კი აძლიერებდა, ცდილობდა ყოფილიყო საუკეთესო სპეციალისტი და მან ეს მთელი თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით დაამტკიცა. მალე მესამე სკოლა გაუქმდა და მეორე სკოლას შეუერთდა. ასე მოვიდა მეორე სკოლამდე გულნარა მასწავლებელი და აგერ, ორ ათეულ წელზე მეტია, ამ სკოლის წარმატებულ პედაგოგთა სიაშია. მის ხელში გავლილ მოსწავლეებს სულ მუდამ ახსოვთ მისი გაკვეთილები, თვალსაჩინოებებით დატვირთული და განმტკიცებული. ახსოვთ მისი ჯანსაღი დამოკიდებულება, როგორც პიროვნებების მიმართ, ახსოვთ, მის მიერ ჩატარებული ღონისძიებები თავისი ორიგინალურობით, არასდროს დაავიწყდებათ დედამიწის დღისადმი მიძღვნილი საღამოები, მათი ცხოვრების წესად გამხდარი ბუნების, ცხოველების, გარემოს სიყვარული და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნება ქვეყნის ეკოლოგიური პრობლემების გათავისების კუთხით, ბევრი მათგანის ბიოგრაფიას ამშვენებს რაიონულ, რეგიონულ თუ რესპუბლიკურ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მიღებული სიგელები და დიპლომები ბიოლოგიასა თუ ეკოლოგიურ საკითხებში, არ დაავიწყდებათ ბიოლოგიის კაბინეტი, სულ მუდამ ყვავილნარში ჩამჯდარი, მის მიერ გაზრდილი დეკორატიული მცენარეებით დამშვენებული სკოლის დერეფნები, მის გაკვეთილებზე გამეფებული მშვიდი გარემო და გამორჩეული დისციპლინა, დამყარებული არა ძალისმიერ მეთოდებზე, არამედ პატივისცემასა და სიყვარულზე. ეს იმიტომ, რომ გულნარა მასწავლებელი უანგაროდ, მთელი მონდომებით გადასცემს თავის მოსწავლეებს ცოდნას, რომელიც მისმა სიბეჯითემ, საგნის სიყვარულმა და პროფესიისადმი თავდადებამ დაუგროვა. ამიტომ არის მისი პედაგოგიური მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი „სკივრი" მადლობის და ალერსიანი მოკითხვის ბარათებით სავსე. ორი წლის წინ, ისეთი გამორჩეული და ორიგინალური დაბადების დღე გადაიხადა, არც რომ მინახავს და არც რომ მსმენია. მან ერთ-ერთ საბანკეტო დარბაზში სულ რაღაც 10-15 ადამიანი მიიწვია, რომელთა შორის იყვნენ ყველაზე უფროსი 83 წლის მისი უფროსი მეგობარი, უნიჭიერესი ქალბატონი მარიამ ბერიძე-ცაკაშვილი და ყველაზე უმცროსი 18 წლის ნიჭიერი და კრეატიული აზროვნების ახალგაზრდა, სკოლის ახლადკურსდამთავრებული სოფიო ჯეთერიშვილი. დანარჩენებიც სულ სხვადასხვა ასაკის და მდგომარეობის ადამიანები – ზოგი კოლეგა, ზოგი ყოფილი მოსწავლე, რომლებთანაც გამორჩეული სითბო და სიყვარული აკავშირებს. ეს არ იყო მხოლოდ ნადიმი, ეს იყო სანახაობა, შემეცნებითი ხასიათის ღონისძიება, შეხვედრა, რომელიც ერთდროულად თავის თავში აერთიანებდა წარსულს, აწმყოს და მომავალს. „სკივრიდან" ამოლაგებული მოგონებები, თბილი ბარათები, კურიოზები, მასპინძლის ფუნქციასთან შეთავსებული ღონისძიების წამყვანის ფუნქცია, ორიგინალური სადღეგრძელოები და, თქვენ წარმოიდგინეთ, გონების გასავარჯიშებელი და ცოდნის დონის განმსაზღვრელი თამაშობებიც კი. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ეს იყო დაუვიწყარი და არაორდინალური დღე თითოეული ჩვენთაგანისთვის.

-მთელი ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი სასკოლო ცხოვრებას და ბავშვებს უკავშირდება. მე შევისისხლხორცე, მთელი სიგრძე-სიგანით შევიყვარე ჩემი პროფესია და თითოეულ გაკვეთილს, თითოეულ ღონისძიებას მთელ ჩემს ენერგიას ვახმარ. მსიამოვნებს ნიჭიერ, გონებაგახსნილ, მონდომებულ ბავშვებთან მუშაობა, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ცელქ, დაუდეგარ, ზარმაც ბავშვებთან მუშაობა, რადგან აქ მეტი ფიქრი, სიტუაციის მართვა და ლავირება გჭირდება და, როცა ბავშვს შენსკენ შემოაბრუნებ, როცა შედეგს დაინახავ, ამაზე ბედნიერება არაფერია. თუნდაც ერთი კეთილი რჩევა მაინც თუ გაჰყვება შენს აღზრდილს ცხოვრების გზაზე, ჩათვალე, რომ შენი მისია შესრულებულია. ჩემს პირად არქივში მრავლად არის ბარათები, სადაც ყოფილი მოსწავლეები ისეთ მომენტებს იხსენებენ, რომლებიც მე, ხანდახან, აღარც კი მახსოვს, მაგრამ მათთვის სამახსოვრო და მნიშვნელოვანია. როცა ქუჩაში ცოლ-შვილით სავსე ჭარმაგი მამაკაცი, ან შვილიშვილთან ხელჩაკიდებული მანდილოსანი შეგაჩერებს, გულიანად მოგიკითხავს და მადლობას გეტყვის

*(გაგრძელება გვ.6)*

# ბავშვთა დაცვის დღე ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

ბავშვთა დაცვის დასაერთაშორისო დღე – 1 ივნისი 1950 წლიდან მრავალ ქვეყანაში აღინიშნება და წარმოადგენს იმის შეხსენებას, რომ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს თითოეული ბავშვის კეთილდღეობა, რაც გულისხმობს მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ხელმისაწვდომი განათლებისა და ცხოვრების სათანადო პირობებით სარგებლობის უფლებათა განხორციელებას. ბავშთა დაცვის დღეს საკუთარი დროშაც გააჩნია, რომელიც მსოფლიოს 30-ზე მეტმა ქვეყანამ სცნო. ეს მწვანე ფერის დროშაა, რომლის ცენტრშიც გამოსახულია დედამიწა და მის გარშემო 5 სხვადასხვა ფერის ადამიანის ფიგურა. ამ დღეს სხვადასხვა ქვეყანაში ბავშვებისთვის გასართობი და კულტურული ღონისძიებები ეწყობა. ბავშვთა დაცვის დღეს განსაკუთრებით ცდილობენ დაეხმარონ ბავშვთა სახლებს, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს, მიუსაფარ, გაჭირვებულ ოჯახებს, მრავალშვილიანებს.



ბავშვთა დაცვის დღე დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში აღნიშნეს **სლოგანით „ბავშვები ჩვენი სიმდიდრეა“.** ღონისძიების დასაწყისში ბავშვებმა ბიბლიოთეკის შესასვლელი ფერადი ცარცით ლამაზად მოხატეს, შემდეგ კი გადაინაცვლეს სურათებითა და ყვავილებით გაფორმებულ დარბაზში. მისასალმებელი სიტყვით ღონისძიება **ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა,** მანანა მაჭარაშვილმა გახსნა: „ბავშვებო, გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. გახსოვდეთ მუდამ, რომ თქვენი მშობლები, ახლობლები თქვენი თვალებით ხედავენ სამყაროს, თქვენი სუნთქვით სუნთქავენ და თქვენი სიცოცხლით ხარობენ! თქვენ ჩვენი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები ხართ. ყოველდღე გვსტუმრობთ გაღიმებული, ნათელი თვალებით. ჩვენი ბიბლიოთეკარები კი ღიმილით, სითბოთი და სიყვარულით გხვდებიან . ერთ პატარა საიდუმლოს გაგიმხელთ, ქართველი ბავშვის სულიერ საზრდოს, რომლის კვალსაც ვხედავთ მე-5, მე-6 საუკუნეებიდან, წარმოადგენდა არა ზღაპრები ურჩხულებსა და ცხრათავიან დევებზე, ოქროსფრთიან ფრინველებსა და ცეცხლოვან რაშებზე, არამედ ჩვენი შორეული წინაპრების ცხოვრებაში ნამდვილად მომხდარი ამბები, რომლებიც, თაობიდან თაობაზე გადმოდიოდა წერით თუ დაუწერლად. დიდი მეზღაპრე და ბავშვების მეგობარი ანდერსენი წერდა: – „ყველაზე უკეთესი ზღაპრები ის არის, რასაც თვითონ ცხოვრება ქმნისო.“ მობრძანდით ხშირად, იკითხეთ წიგნი, რადგან ცოდნა სინათლეა და ეს სინათლე გაგინათებთ მომავლის გზას, რათა შემდგომში ემსახუროთ სამშობლოს და მამულს“.

**ბიბლიოთეკარმა** ცეცელო ჯანაშვილმა მიულოცა მათი დღესასწაული ბავშვებს და აღნიშნა, რომ 1 ივნისი მხოლოდ ბავშვთა დაცვის დღე არ არის, ამ დღეს აღინიშნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასულიერო დღესასწაული, ნინოობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდება. ნაირა კაისაძემ წაიკითხა ნანა სუხიტაშვილის მითხრობა „ხორნაბუჯიდან“ პატარა ამონარიდი. ღონისძიებას ლექსებით ალამაზებდნენ ბავშვები: **ლიზი შანშაშვილი,** (ი.დავითაშვილი „სამშობლო“), **ბარბარე წიკლაური** (ა. კალანდაძე „მოდიოდა ნინო მთებით“, **გიორგი ქადაგიძე** (შ.ნიშნიანიძე „უფალო შეგვიწყალე“), **ლუკა ლეკაშვილი** (ნ.მეფარიშვილი „მე რუსთაველის სამშობლოდან“), **დემეტრე ფიროსმანიშვილი** („ნუ გაიგლიჯე გული, მამულო“), **ნატალი აბულაშვილი, დათუნა ქადაგიძე** („შენ ხარ ქართველი“).



ეს დღე ბავშვებს **დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა** ილია მარტყოფლიშვილმაც მიულოცა. მან ასევე აღნიშნა, რომ დღევანდელ თაობას ყველანაირი პირობა აქვს შექმნილი იმისათვის, რომ კარგად ისწავლონ და გაიფართოვონ თვალსაწიერი. „კარგი, მშვიდი, კომფორტული გარემოა შექმნილი ბიბლიოთეკაში და რაკი ამ ასაკში ასე ხართ დაინტერესებულები, მჯერა, რომ მომავალშიც უფრო მეტს მოინდომებთ, მეტს იშრომებთ თქვენი განვითარებისთვის და კარგ, ნაკითხ თაობად ჩამოყალიბდებით. მადლობას გიხდით იმისთვის, რომ ასე აქტიურად ხართ ჩართულები თითოეულ ღონისძიებაში არა მარტო დღეს, არამედ ყოველთვის.“ ილია მარტყოფლიშვილმა ბავშვები ღონისძიებებში მონაწილეობისთვის სამახსოვრო სიგელებითაც დააჯილდოვა.



მანანა მაჭარაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და აღნიშნა, რომ ცენტრალური ბიბლიოთეკის ბაზაზე შეიქმნება ჯგუფი, სადაც ბავშვები სხვადასხვა ჟანრის ლექსებსა და მხატვრულ კითხვას ისწავლიან. ბავშვების სურვილისამებრ შეირჩევა ჯგუფის სახელი.

და ბოლოს, ბავშვები – ეს ხომ ყველაზე ძვირფასი რამაა, რაც გაგვაჩნია! ამიტომაც, აუცილებელია მათზე ზრუნვა და შრომა იმისათვის, რომ მათი ცხოვრება რაც შეიძლება უკეთესი იყოს. პატარების ღიმილი და ბედნიერი სახეები ხომ ყველაზე დიდი სიმდიდრეა ამქვეყნად. ბავშვთა დაცვის დღე კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ მხიარული და ბედნიერი ბავშვობა უნდა ჰქონდეს ყველა ბავშვს! მივულოცოთ ჩვენს ბავშვებს ეს დღე და ბედნიერი ბავშობა ვუსურვოთ მათ!

ხათუნა ბენაშვილი

# მხიარული სტარტები და საბავშვო კონცერტი

**დატვირთული აღმოჩნდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე დედოფლისწყაროში. მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა გასართობი აქტივობები გაიმართა. ბიბლიოთეკაში გამართული ღონისძიების შემდეგ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ორგანიზებითა და მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ეზოში „მხიარული სტარტები“ პირველად ჩატარდა. ღონისძიება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა და მასში ოთხი გუნდი მონაწილეობდა. სპეციალური ჟიურის მიერ გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი, რომელიც დედოფლისწყაროს წმ. მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლა ინტერნატის ერთერთი გუნდი გახდა, თუმცა მთავარი პრიზი ოთხივე გუნდს შეხვდა.**



განსაკუთრებით ემოციური აღმოჩნდა ბაგირის გადაწევა და შეჯიბრი სირბილში. ხშირ შემთხვევაში გუნდები შეჯიბრს ფრედ ამთავრებდნენ, რის გამოც ჟიურის დამატებითი ტურის დანიშვნა უხდებოდა.

მხიარულ შეჯიბრში მონაწილე გუნდები და თითოეული მოსწავლე დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ილია მარტყოფლიშვილმა სიგელებითა და ფასიანი პრიზებით დააჯილდოვა და თითოეულ მათგანს წარმატებები უსურვა.

„კულტურის ცენტრი ყველანაირად ეცადა, ეს დღე ლამაზი და სიურპრიზებით სავსე ყოფილიყო, რათა დიდხანს დარჩეს თქვენს მეხსიერებაში. გილოცავთ ბავშვთა დაცვის დღეს და წარმატებებს გისურვებთ ცხოვრებაში. დღეს წაგებული და მოგებული არ არსებობს, თქვენი დღეა და, ამდენად, არ გამოვყოფთ შეჯიბრებაში გამარჯვებულ პირველ და ბოლო ადგილებს, განურჩევლად ყველას გადაეცემა კულტურის ცენტრის სამახსოვრო საჩუქარი, რომელშიც წიგნიც არის მოთავსებული. გვინდა, რომ ბევრი იკითხოთ და კარგად ისწავლოთ, რათა წარმატებულები იყოთ ცხოვრებაში,“ – თქვა ილია მარტყოფლიშვილმა.

„გასულ წლებში სხვა აქტივობები იგეგმებოდა, წელს კი გვინდოდა ფორმატი შეგვეცვალა და განსხვავებული შეჯიბრი ყოფილიყო. ყველა სკოლა ვერ ჩავრთეთ, რადგან ეს გაცილებით ფართო მასშტაბებს შეიძენდა, ვერც დროში ვეტეოდით და ადგილიც მცირე იყო საამისოდ. მომავალ წელს მეტი სკოლის გუნდს ჩავრთავთ ამდენად, უნდა ითქვას, რომ მხიარული სტარტები დედოფლისწყაროში წელს პირველად ჩატარდა,“ – აღნიშნავს კულტურის ცენტრის კოორდინატორი ბავშვებთან მუშაობის საკითხებში ნინო ლოლაშვილი.

* * *

მხიარული სტარტების დასრულების შემდეგ კულტურის სახლის დარბაზში ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელშიც ადგილობრივი საბავშვო სტუდიები მონაწილეობდნენ. საბავშვო კონცერტში აქტიურად მონაწილეობდნენ ქალაქ დედოფლისწყაროს ყველა საბავშო ბაღის აღსაზრდელები.

საღამო კულტურის სახლთან არსებულმა სტუდია „არლეკინოს“ ბავშვებმა გახსნეს და ვასილ ტუხაშვილთან ერთად წარმოადგინეს კომპოზიცია „ფუტკარი“. შემდეგ კი სცენა საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს დაეთმოთ, რომლებმაც საოცარი ოსტატობით და გამორჩეული ვიზუალური გაფორმებით ორიგინალური ნომრები წარმოადგინეს, რამაც მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

დამსწრე საზოგადოებას და ბავშვებს საერთაშორისო დღე მიულოცა კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა **ილია მარტყოფლიშვილმა.** მისი თქმით, ცენტრი ცდილობს ხმამაღლა თქვას, რომ ყველა ბავშვი თანასწორია და მან ამის კონკრეტული მაგალითებიც დაასახელა.

„კულტურის ცენტრმა ბოლო ხანს ერთი კარგი ტენდენცია დაამკვიდრა. ამაყი ვარ, რომ დღეს სცენაზე ამ ბავშვებთან ერთად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებიც აქტიურად გამოდიან და სხვადასხვა ნომრებში მონაწილეობენ. ეს ყველაფერი კი იმიტომ არ მომხდარა, რომ ბავშვთა დაცვის დღეა და ღონისძიება ბავშვებს ეძღვნება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, ბოლო დროს, კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ თითქმის ყველა ღონისძიებაში მონაწილეობენ. ამით კი ჩვენ იმის ხაზგასმა გვინდა, რომ რაიმე ნიშნით არ ვანსხვავებთ ბავშვებს და ვცდილობთ მაგალითი ვაჩვენოთ, რომ ყველა ბავშვი თანასწორია. ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს და ამის დასტურია ისიც, რომ მაგალითად 9 მაისის და სხვა შინაარსის ღონისძიებებშიც მონაწილეობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. ამ აქტიურ ჩართულობას თავისი შედეგი მოჰყვა და ისინი დღეს გაცილებით აქტიურები და ლაღები არიან სცენაზე, ვიდრე ეს პირველი გამოსვლის დროს იყო. კულტურის ცენტრი სამომავლოდაც ეცდება, მათი ჩართულობა კიდევ უფრო გაიზარდოს და მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი, რომ გაადვილდეს მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ღონისძიების ყველა მონაწილეს და მათ პედაგოგს. განსაკუთრებით, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრს აქტიური ჩართულობისთვის და იმისათვის, რომ არნახულად ეფექტური ნომრები გამოიტანეს რაიონულ სცენაზე და ფართო მასებს აჩვენეს ამ ბავშვების შესაძლებლობები,“ – აღნიშნა ილია მარტყოფლიშვილმა.



# უსაფრთხო შრომის (უგულებელ) ყოფა საქართველოში

***უსაფრთხო შრომის საკითხი დღის წესრიგში კვლავ მას შემდეგ დადგა, როდესაც 27 მაისს, ტყიბულში, ქვანახშირის კარიერში მიწის ქვეშ მოყოლილი მუშის ცხედარი იპოვნეს. საქართველოში სამუშაო ადგილზე უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნა, წლების მანძილზე უკვე უდიდეს გამოწვევად რჩება. შრომის უსაფრთხოების პრობლემას მწვავედ წარმოაჩენს ბოლო წლებში დასაქმებულთა გაფიცვებისა და პროტესტების ტალღა. ამ უკმაყოფილების მთავარი მიზეზი სწორედ სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა იყო. ოფიციალური მონაცემებით, 2011-2016 წლებში საწარმოო შემთხვევების შედეგად სამუშაო ადგილზე დაშავდა 776 და გარდაიცვალა 270 დასაქმებული.***

ამ პრობლემის საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლებამ 2015 წელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი შექმნა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტის მანდატი შეზღუდულია მხოლოდ შრომითი უსაფრთხოების საკითხებით. ამასთან, დეპარტამენტს სამუშაო ადგილზე შრომითი ინსპექტირებისთვის დამსაქმებლის ნებართვა სჭირდება. ამავდროულად, ინსპექტირების შემდგომ მის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს სავალდებულო ძალა არ გააჩნია, რაც წინააღმდეგობაშია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მინიმალურ სტანდარტებთან. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შექმნის მიუხედავად, საწარმოო შემთხვევების შედეგად დაშავებულ და დაღუპულ ადამიანთა რაოდენობა არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა.

***„არ მიმაჩნია, რომ ძირითადი პრობლემა შრომის უსაფრთხოების არ დაცვაა, რომლითაც ტრავმატიზება და სიკვდილიანობა ხდება“,*** - უთხრა „ლიბერალს“ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ შრომის უსაფრთხოების შესახებ საუბრისას. ზოიძე შრომის ინსპექციისთვის დამატებითი უფლებამოსილების მინიჭებას პრობლემურად მიიჩნევს. ***„თუ კიდევ ერთი პასუხისმგებლობა მივანიჭეთ შრომის ინსპექციას, რომელსაც, რაც აქამდე პასუხისმგებლობები აქვს იმას ვერ უმკლავდება, ინსტიტუციურად არასწორი მგონია. დისკრედიტაცია მოხდება კანონისაც და მთელი ამ პროცესისაც. კანონის აღსრულება უნდა მოხდეს. ჩვენ მივიღეთ კანონი, რომელიც შრომის უსაფრთხოების ყველა იმ სტანდარტს ითვალისწინებს, რაც აუცილებელი იყო. მათ შორის არის შრომის ინსპექციის აღჭურვა იმ უფლებებით, რომლითაც თავიდან უნდა ავიცილოთ ტრავმატიზება და სიკვდილიანობა შრომის დროს. ნულიდან დავიწყეთ ამის შენება და ვაშენებთ დღესაც, მაგრამ ყველაზე დიდი გამოწვევა დღეს კანონის აღსრულებაა“,*** - აცხადებს აკაკი ზოიძე.

აკაკი ზოიძე გამოსავალს შემდეგ გარემოებაში ხედავს: ***„ერთი, რომ თვითონ კულტურა უნდა იყოს შექმნილი ამ აღსრულების, რომ თითოეული საწარმო იყოს სასიცოცხლოდ დაინტერესებული, დაიცვას შრომის სტანდარტები. უფრო ძვირი უნდა დაუჯდეს მას უსაფრთხოების დაუცველობა, ვიდრე დაცვა. ასევე, თავად მოქალაქეებიც მოწადინებულები უნდა იყვნენ, რომ დაიცვან უსაფრთხოების სტანდარტები. კეთილგონიერებაზე კანონს ვერ მიიღებ. თუ ადამიანმა არ დაიცვა უსაფრთხოების სტანდარტი, მაშინ კაპიკია კანონის ფასი. ხოლო თუ დამსაქმებლის ბრალეულობაა, უმკაცრესად უნდა დაისაჯოს. პრევენციის საშუალებაა, როდესაც სასამართლო მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომლითაც უმკაცრესად აგებინებს პასუხს პასუხისმგებელ პირებს“.***

საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, რომელიც კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) და ღია საზოგადოების ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაცია International IDEA ერთობლივი პროექტის ფარგლებში განხორციელდა, სამუშაო ადგილზე შრომის უფლების ყველაზე ხშირი დარღვევაა:

***არასათანადო ანაზღაურება (მოსახლეობის 71%),***

***შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა (მოსახლეობის 64%),***

***სამუშაო საათების ხანგრძლივობის ნორმების დარღვევა (მოსახლეობის 57%).***

ხშირად ისმის კითხვა: ვინ უნდა გააკონტროლოს შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე: სახელმწიფომ, კერძო სექტორმა თუ ორივემ ერთად? საზოგადოებას ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს. გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა და მან უნდა შექმნას ქმედითი მექანიზმი უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ თუკი სახელმწიფო და კერძო სექტორი ერთად იმუშავებენ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, უფრო დადებითი შედეგის მომტანი იქნება. თანაც დამსაქმებელმა უკეთესად იცის მისი დასაქმებულის პრობლემები და სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ კანონებსაც უკეთესად მოარგებს ის შრომასაქმიანობას.

**რა სახის სანქციები არსებობს და რა რაოდენობით ჯარიმდება დამსამებელი თუ კი ის არღვევს შრომის უსაფრთხოების ნორმებს?**

საქართველოს კანონში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ვკითხულობთ, რომ სამართალდარღვევის ჩადენისთვის შეიძლება გამოიყენება შემდეგი სახის ადმინისტრაციული სახდელები:

ა) გაფრთხილება;
ბ) ჯარიმა;
გ) სამუშაო პროცესის შეჩერება.

ამავე კანონში ასევე ვკითხულობთ, რომ მომეტებული საფრთხის შემცველი მძიმე,



მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების განხორციელება ამ საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე ან ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრისათვის ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების წარუდგენლობა, გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. სამართალდამრღვევის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საფუძველზე გაცემული მითითების შეუსრულებლობა —გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით. გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს პირს საქმიანობის რეგისტრაციის ვალდებულებისაგან. მომეტებული საფრთხის შემცველი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების განხორციელება რეგისტრაციის გარეშე არ ათავისუფლებს პირს ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან. ზედამხედველი ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლა გამოიწვევს გაფრთხილებას. სამართალდამრღვევის მიერ გაფრთხილების საფუძველზე გაცემული მითითების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. ქმედების სამჯერ ან მეტჯერ ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით (რეგლამენტებით) განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, თუ საწარმოში არ არსებობს კრიტიკული შეუსაბამობა, გამოიწვევს გაფრთხილებას. სამართალდამრღვევის მიერ გაფრთხილების საფუძველზე გაცემული მითითების შეუსრულებლობა არაარსებითი შეუსაბამობის არსებობისას გამოიწვევს 100-დან 8000 ლარამდე ჯარიმას. არსებითი შეუსაბამობის არსებობისას გამოიწვევს 400-დან 14000-მდე ლარის ჯარიმას. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით (რეგლამენტებით) განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის კრიტიკული შეუსაბამობა გამოიწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და გათვალისწინებული დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებიდან 2 კალენდარული წლის განმავლობაში კრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენა გამოიწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ჯარიმას 10000 ლარიდან 50000 ლარამდე.

2014-2016 წლების საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის მიხედვით საქართველომ აიღო ვალდებულება შეექმნა შრომის ინსპექტირების ისეთი მექანიზმი და ინსტიტუტი, რომელსაც სამუშაო პირობების შესამოწმებლად ადეკვატური პოტენციალი ექნებოდა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს დააკმაყოფილებდა. მოცემული საკითხი ასევე განსაზღვრულია საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მე-13-ე და მე-14-ე თავებში. ადამიანის უფლებებისა და სწავლების ცენტრის (EMC) ინფორმაციით, შრომითი პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ქმედით მექანიზმად ჩამოყალიბება ასევე წარმოადგენს ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტით გათვალისწინებულ საკითხს.

შრომა ამ სამყაროსავით ძველია, მისი არსებობა ადამიანის მუდმივ განვითარებაზეა მიმართული. ბუნების მიერ შექმნილი რესურსების სულიერ, გონებრივ და მატერიალურ სიკეთეებად გარდაქმნა არ უნდა იყოს საფრთხის ქვეშ და ყოველწლიურად მის შესაქმნელად დაკარგული ადამიანური რესურსი შვიდნიშნა რიცხვით არ უნდა აღინიშნებოდეს. შრომა ადამიანისთვის უკვე მრავალი წელია დიდი რისკია და არა თავისუფალი ქმედება. დაცული შრომითი გარემო საზოგადოების განვითარების ახალ გზებს ხსნის. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური წარმატების საწინდარი არის არა მხოლოდ ღირსეული და უსაფრთხო შრომა, არამედ დაცული მშრომელიც.

**მოამზადა**
ქუქუნა ყანჩაშვილმა

# საყვარელ საქმეს შეღეული ნახევარი საუკუნე

*(მეოთხე გვერდიდან)*

მასზე გაწეული ამაგისათვის, ამაზე სასიამოვნო არაფერია, ამად ღირს მასწავლებლობა, - ამბობს ქალბატონი გულნარა, რომელიც დღეს რთული არჩევანის წინაშე დგას: მიიღოს სამინისტროს შემოთავაზება, აიღოს საკონპენსაციო თანხა და დამსახურებულად დაისვენოს, თუ არ უღალატოს მრწამსს და ბოლომდე ემსახუროს საყვარელ საქმეს, შეელევა კი ბავშვებს?!

...ახლა ორიოდე სიტყვით მის პირად ცხოვრებასაც შევეხოთ: შეისმინა უფალმა მისი ვედრება, ერთი შვილის ამარა დარჩენილს შვილიშვილები მიმრავლეო. ის ორი გოგონას და ერთი ვაჟის საყვარელი ბებიაა. ნინო, რომლის გაზრდასაც დედობრივი ამაგი დასდო, უკვე სტუდენტია და სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს, გენეტიკით არის დაინტერესებული, მარიამი და იოანე №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. რძალი მაია ბეგიაშვილი ექიმია, ძალიან დატვირთული გრაფიკი აქვს და დედამთილის მხარში დგომა ძალიან სჭირდება. გულნარაც, როგორც დედაბოძი, ისე უდგას ოჯახს და სიყვარულით და ერთგულებით ემსახურება თითოეულ მათგანს. ბედნიერია და მხოლოდ ერთ რამეზე სწყდება გული – ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 68 წლის ასაკში რომ წავიდა მისი მეუღლე ამ ქვეყნიდან და ვერ იზიარებს იმ წარმატებებს და სიხარულს, რომელზეც ის მუდამ ოცნებობდა. კვლავაც მხნეობა, ჯანმრთელობა და წარმატებები ვუსურვოთ მას. ქვემოთ გთავაზობთ კოლეგებისა და ყოფილი მოწაფეების მილოცვებს.

* * *

*ქ.დედოფლისწყაროს N 2 საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი დიდი სიყვარულით და პატივისცემით ულოცავს ღვაწლმოსილ პედაგოგს- ქალბატონ გულნარა ღორაშვილს ღირსშესანიშნავ თარიღს და აღნიშნავს, რომ იგი 50 წელი უანგაროდ და დიდი პროფესიული ოსტატობით აზიარებს ბიოლოგიის მადლს და ცოდნას ყმაწვილებს, ამასთან ამაყობს კიდეც თავისი აღზრდილებით, რომელთა სიყვარული მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო და სიხარულია. იგი მუდამ ცდილობს, არ ჩამორჩეს სკოლის ცხოვრებას, ფეხი აუწყოს სიახლეებს და ახალ-ახალ გამოწვევებს.*

*ჩვენო მშვენიერო ქალბატონო, დიდი სიყვარულით გილოცავთ პედადაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს და დაბადების 70 წლის იუბილეს. ვაფასებთ თქვენს ადამიანურ გულისხმიერებასა და თავდადებას საყვარელი საქმისადმი. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანის სიმრთელეს, შემოქმედებით წარმატებებს და ოჯახურ ბედნიერებას.*

* * *

*თუ კითხავთ რომელიმე წარმატებულ მოსწავლეს წარმატების საიდუმლოს შესახებ,ის აუცილებლად დაასახელებს რომელიმე მასწავლებელს,რომლის დამსახურებაც თვლის თავის მიღწევას. შემიძლია, ასეთ მასწავლებლად თამამად დავასახელო გულნარა ღორაშვილი,რომელმაც არაერთი თაობა აღზარდა.მას აქვს მკაფიო მიზნები,თუ როგორ ასწავლოს, რა კუთხით განავითაროს ბავშვები. მას ასევე საკუთარი სწავლების მეთოდები და მიდგომები აქვს და დროთა შესაბამისად ხვეწს, იმისთვის, რომ მუდამ იყოს წარმატებული თავის საქმიანობაში, არ აშინებს და არ ეგუება ცვლილებებს. მინდა გულწრფელად მივულოცო გულნარა მასწავლებელს იუბილე, დიდხანს სიცოცხლესა და პროფესიულ წინსვლას ვუსურვებ მას.*

ლალი იაკობიშვილი,
*№2 საჯარო სკოლის დირექტორი*

* * *

*მინდა, გულნარა მასწავლებელს მივულოცო დაბადების დღე, ვუსურვო ჯანმრთელობა და წარმატებები პროფესიულ საქმიანობაში. საკმაოდ დიდი ხანია, რაც ერთად ვმუშაობთ და ძალიან დიდ პატივს ვცემ, როგორც პიროვნებას,როგორც პედაგოგს,მრავალი თაობის აღმზრდელს; მასწავლებლებს ხომ გარდა კონკრეტული საგნის სწავლებისა, დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია ჩვენი მომავალი თაობის აღზრდაში,გულნარა მასწავლებელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ბავშვების განათლებასა და კარგ ადამიანებად ჩამოყალიბებაში. ჩვენი მოსწავლეებიც ყოველთვის ამჟღავნებენ მის მიმართ სიყვარულს და დიდ პატივისცემას. კარგ პედაგოგს,საუკეთესო პიროვნებას და თანამშრომელს,მინდა ვუსურვო კიდევ მრავალი წელი ასეთი შემართებით გააგრძელოს სკოლაში მუშაობა, ბავშვებთან ურთიერთობა.*

ნათია პოპიაშვილი,
*№2 საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.*

* * *

*განსაკუთრებული მადლიერებით და დღეგრძელობის სურვილით ვულოცავ ქალბატონ გულნარას 70 წლის იუბილეს, ვუსურვებ მხნეობას და წარმატებულ საქმიანობას. იგი არის ღვაწლმოსილი მასწავლებელი, სამაგალითო პიროვნება, ჩემი საყვარელი მასწავლებელი, უფროსი მეგობარი და რამდენიმე წელია, უკვე კოლეგა. არა მხოლოდ მე, არამედ ჩემი თაობის ადამიანები ტკბილად ვიხსენებთ ბიოლოგიის გაკვეთილებს, რომელსაც გულნარა მასწავლებელი გვიტარებდა.თითოეული გაკვეთილი დატვირთული იყო მრავალფეროვანი თვალსაჩინო მასალით. ჯერ კიდევ 20-25 წლის წინ იგი გაკვეთილებზე იყენებდა სხვადასხვა მეთოდს და სტრატეგიებს, რაც თითოეულ მოსწავლეში ზრდიდა სწავლის სურვილს და მოტივაციას.*

*ქალბატონი გულნარა გამოირჩევა ერთგულებით, ყურადღებითა და სიყვარულით. მასთან ურთიერთობისას არ იგრძნობა ასაკობრივი ბარიერი.ყოველთვის გულწრფელი და განსაკუთრებულია მისი რჩევები.დასაფასებელია გულნარა მასწავლებლის 50 წლიანი ღვაწლი პედაგოგიურ საქმიანობაში. მეიმედება და მეამაყება მის გვერდით ყოფნა.*

ირინა ფიროსმანაშვილი
*N 2 საჯარო სკოლის ინკლუზიური სწავლების პედაგოგი.*

* * *

*გულნარა მასწავლებელო, გილოცავთ 70 წლის იუბლეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და საყვარელი საქმიანობის დიდხანს გაგრძელებას. ჩემთვის უდიდესი პასუხიმგებლობა და სიხარული იყო თქვენი მოსწავლეობა. თქვენ საუკეთესო პედაგოგი ბრძანდებით და ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ჩემი სამომავლო საქმიანობა თქვენს საგანთან დავაკავშირე. ( ვიცი რომ ძალიან გაგიხარდებათ). გილოცავთ დაბადების დღეს.-* სოფიო ჯეთერიშვილი, *თელავის პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტი.*

* * *

P.S. ძვირფასო მკითხველო, ზოგიერთმა თქვენგანმა ალბათ, იცის, რომ გულნარა ჩემი დაა. ვინც არ იცის, იმას მინდა ავუხსნა, რომ მე მარნეულში მუშაობისას და ჩემს ძმას - ციხელოს მოსკოვში სწავლისას აზერბაიჯანელმა და რუსმა საპასპორტო მაგიდის უფროსებმა, ქართულის უცოდინრობის გამო, პასპორტში გვარი ორივე ენაზე გორაშვილი ჩაგვიწერა. ასე აღმოვჩნდით ერთი დედმამიშვილები - გორაშვილ-ღორაშვილები. გულწრფელად გეტყვით, რომ არავითარი პირადი ინტერესები არ დევს ამ წერილში, გულნარა უფრო მეტსაც იმსახურებს თავისი ცხოვრების წესით, პროფესიონალიზმით და ადამიანობით. შენ კი, ჩემო საყვარელო დაიკო, ჩემო ნანიკო, გილოცავ 70 წლისთავს და ვფიქრობ, როდის გავიდა ამდენი წელი?! თითქოს გუშინ იყო ჩვენი ბავშვობა, ზურგზე მოკიდებულს რომ დაგარბენინებდი, სტუდენტობისას დედასავით რომ ვზრუნავდი შენზე, დაბადებიდან დღემდე - 70 წელია, გიცნობ, რადგან თითქმის 6 წლით უფროსი ვარ შენზე და შენმა ცხოვრებამ ჩემს თვალწინ ჩაიარა. თბილო და ტკბილო დაიკო, შენი იმედი არ მომიშალოს ღმერთმა. ჩემი და ჩვენი ძმის ოჯახების, ბიძაშვილების და ახლობლების სახელით გილოცავთ იუბილეს, გისურვებთ ყოველივე კარგს, გვიყვარხარ და გეფერებით.

**შენი,**
ნაირა გორაშვილი

# დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა „ჩემი საქართველო აქ არის“...

ქ. დედოფლისწყაროს № 2 ბაგა-ბაღში (დირექტორი მ. ტოკლიკიშვილი) საზეიმო განწყობა სუფევდა. ბაგა-ბაღის 3-4 წლიანთა, 4-5 წლიანთა და 5-6 წლიანთა ჯგუფებში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აქტივობები.

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა აზა ლაპიაშვილმა.



3-4 წლიანთა ჯგუფში (აღმზრდელი თ. ლაპიაშვილი, თანაშემწე მ. მარტაშვილი) შედგა მარტივი საუბარი საქართველოს თემაზე, თუ როგორ დაიბრუნა ქვეყანამ, 70-წლიანი ოკუპაციის შემდეგ, დამოუკიდებლობა. ბავშვებმა ისაუბრეს ლეგენდის შესახებ, თუ როგორ დაარსდა თბილისი, შეასრულეს „საქართველოს ჰიმნი“. ბუშტებზე საღებავებით მოხატეს საქართველოს დროშა.

4-5 წლიანთა სააღმზრდელო ჯგუფის აქტივობას ( აღმზრდელი თ. ალადაშვილი, თანაშემწე შ. ღვინიაშვილი) ლაიტმოტივად გასდევდა სიტყვები „ ჩემი საქართველო აქ არის“ . აღმზრდელი ბავშვებს ესაუბრა 26 მაისის მნიშვნელობაზე. დაახასიათეს საქართველოს გერბი, დროშა, იმღერეს ჰიმნი, ბავშვებმა კითხვა-პასუხის რეჟიმში ისაუბრეს საქართველოს დედაქალაქზე, მის დაარსებაზე.

აღმზრდელმა გამოიყენა ფუნქციური ცენტრები თემის გასაშლელად. გააცოცხლეს ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ. ჯგუფში ფართოდ იყო წარმოდგენილი აქსესუარები: გერბი, დროშა, ქართული ჩოხა, ქართული კაბა.

აქტივობის მსვლელობისას აღმზრდელმა კარგად წარმოაჩინა ქართული ეროვნული ტანსაცმელი და მისი დანიშნულება, ქართული კულინარია, აგრეთვე საინტერესო იყო საუბარი წმინდა ნინოს ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ. ხელოვნების ცენტრში გააფერადეს საქართველოს დროშა. გამოძერწეს „ხინკალი“ „დედას პური“. ძალზედ საინტერესო იყო აგრეთვე აქტივობა 5-6 წლიანთა ჯგუფში (აღმზრდელი გ. ტიჟჩენკო-ჯორკოშვილი, თანაშეწე ე. ბენაშვილი). აქტივობა მიმდინარეობდა მუსიკალურ დარბაზში. აღმზრდელი ესაუბრა ბავშვებს საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, რას ნიშნავს 26 მაისი. პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესახებ, რომელსაც სათავეში ნოე ჟორდანია ედგა. ბავშვებს წარმოუდგინა ეკრანზე სლაიდები; მასში ასახულმა კადრებმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესახებ დიდი ინტერესი გამოიწვია.

აღმზრდელმა კითხვა-პასუხის რეჟიმში გააცნო ბავშვებს საქართველოს და მისი დედაქალაქის- თბილისის დანიშნულება. განუმარტა, რომ გერბზე ასახული ლომები ძლიერების სიმბოლოა.

შეასრულეს მხატვრული ნომრები: თქვეს ლექსები. წარმოადგინეს ინსცენირება „კაცია-ადამიანიდან“. ბოლოს ბავშვებმა შეასრულეს აპლიკაციური ნამუშევარი „ საქართველოს რუკა“, დახატეს საქართველოს დროშა. კედელზე გაკრულ თეთრ ფორმატზე იმუშავეს დევიზით „როგორი საქართველო სურთ, რომ ჰქონდეთ“. შეასრულეს საქართველოს ჰიმნი.



28 მაისს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „რა არის სამშობლო?“ მოსწავლეებს მიცემული ჰქონდათ დავალება - დაეხატათ სამშობლო საკუთარ ფანტაზიაში. ფერებში გამოეხატათ საქართველოს სიყვარული. ბავშვების ფანტაზია საკმაოდ მრავალფეროვანი აღმოჩნდა, ისინი ხატავდნენ საქართველოს ბუნებას, მთებსა თუ მდინარეებს, ქვეყნის კუთხეებს თუ მის სიმბოლოებს, ტაძრებსა თუ ციხე-კოშკებს. მათ შორის იყო წმინდა ელიას მთა. ძალიან საინტერესო იყო ყველაზე პატარა მონაწილის, ნიკოლოზ ნატროშვილის ნახატი. უფროსკლასელებიდან კი გამოირჩეოდნენ: ნოდარ გივიშვილი, ანა ფიროსმანაშვილი, გიორგი კოჭლამაზაშვილი, თომა გულაშვილი, ქეთევან ყაჭაშვილი. მინდა გამოვყო რუსუდან გონაშვილი, რომელიც შესანიშნავად ხატავს და ყოველთვის გვილამაზებს ღონისძებას თავისი ნახატებით. აგრეთვე აღსანიშნავია ანელი ნარუსლიშვილისა და ანასტასია ჩუბინიძის ნამუშევრები.





ხატვის დროს პატარები კითხულობდნენ ლექსებს სამშობლოზე. დარბაზში ჩართული მუსიკა კი სასიამოვნო გარემოს უქმნიდა ნორჩ მხატვრებს.

სამშობლოს სიყვარულს უმღერეს ლექსებითა და ნახატებით: ნანუკამ და მარიამმა, ქეთიმ და კახიმ, ცოტნემ და ერეკლემ, ლიზამ და რატიმ, ლალიანამ და დარეჯანმა, ილიამ და იოანემ, ბარბარემ და გვანცამ, ლიკამ და ნინომ, დაჩიმ, გიორგიმ და ლუკამ, ელენემ და სალომემ...

ღონისძიებას ხელმძღვანელობდა ნინო სიფრაშვილი, ის თვითონაც კითხულობდა ლექსებს და სვამდა კითხვებს დარბაზში. საკუთარი ლექსი წაიკითხა თინათინ ნიკოლეიშვილმა.

მადლობა ყველას მონაწილეობისთვის, განსაკუთრებით მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატს გვერდში დგომისთვის.

თამარ ლაპიაშვილი,
**მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი.**

მონატრება

## ქეთევან გურასპაული-გორელაშვილი



რა მუხთალი ყოფილა, დედა, წუთისოფელი, როგორი ტკბილიც არ უნდა იყოს სიცოცხლე, ბოლოს უნდა ჩაგამწაროს, გული უნდა გატკინოს, ცრემლი უნდა გადინოს თვალებიდან, გულით ტკივილი და სევდა უნდა გატარებინოს. ასეთია ცხოვრება. ესაა სიცოცხლე. ადამიანები ვერასოდეს ვკმაყოფილდებით დროთი, ბავშვებს დიდობა გვენატრება, გავიზრდებით და ხშირად ისევ ბავშვობა გვინდა,მიუხედავად იმისა, როგორი იყო ჩვენი ბავშვობა. დრო კი გარბის,გარბის და ფიქრობ: – რამდენი რამის გაკეთება მინდა,მაგრამ დრო მექნება? მოვასწრებ? უკვე ცხრა წელი გავიდა იმ დღიდან,რაც შენ აღარ ხარ შენს ოჯახში,აღარ მხვდები გაღიმებული, გულში აღარ მიკრავ - „დედა მოგიკვდეს, ჩემო შვილოო“. აღარ ვსაუბრობთ, აღარ მიყვები, როგორ ატარებ დღეებს უჩემოდ, ჩემს მოლოდინში, როგორ აყვავდნენ ვარდები, რომ ისევ მოფრინდნენ მერცხლები და მათი მხიარული ჭიკჭიკი როგორ გიხარია ჩემსავით.

დედა, ჩემს აივანზე უამრავი სხვადასხვა ფერის ვარდი ყვავის. შენი საყვარელი გვირილებიც აყვავდნენ. ასე მგონია, მათი სიყვარულით შენ გეფერები,თითქოს შენი სულია ჩასახლებული მათში.

აქაც მოფრინდნენ მერცხლები, მაგრამ აქ არ ჭიკჭიკებენ ისე ტკბილად, როგორც ჩვენთან, ჩვენს აივანზე.

ადამიანი ყველაფერს ეჩვევა თურმე, სიცოცხლე გრძელდება, ტკივილი კი არასოდეს ნელდება და არასოდეს ქრება, ტკივილი ხდება სხეულის ნაწილი და ასე ცოცხლობს. ვიდრე ვიცოცხლებ, არ გათენდება დილა, რომ არ დამიდგეს თვალწინ ის დილა, როცა ჩემს გულზე ჩახუტებულმა, უფალს მიაბარე სული. ან კი შეიძლება დედა დამავიწყდეს? მეც ხომ შენთან ერთად მოვკვდი, შენ ხომ ჩემი ყველაფერი იყავი, სამაგალითო დედა და მეუღლე. დღემდე ცრემლი მდის დედა, ვერ გიხსენებ უცრემლოდ. მაკლიხარ,მტკივა უშენობა და ვცოცხლობ მხოლოდ შენი მოგონებით.

ცხოვრება ბევრისთვის დედაა და ბევრისთვის დედინაცვალი. არ ვიცი, ჩემთვის რა არის ცხოვრება. არ ვიცი, მადლიერი ვიყო თუ უმადური ამ ცხოვრების,მაგრამ ის კი კარგად ვიცი,რომ ვიდრე ვსუნთქავ, ვიდრე ვარსებობ,შენ მუდამ ჩემთან ხარ, ჩემს სულში ხარ და არასოდეს, არასოდეს გიწერია დავიწყება!

დედა, რა ტკივილი ყოფილა უშენობა... ნათელში იყავით ყველა, მთელი ნათესაობა და მშობლები, და-ძმები, მეუღლე, შვილი- სულ მანდა ხართ, ალბათ, მანდ უკეთესად იქნებით ყველა ერთად.

ნათელი თქვენს სამყოფელს, ხსოვნა და არ დავიწყება თქვენს სახელებს ჩემო ტკბილო, საყვარელო და განუმეორებელო მშობლებო: – ივანე დარჩიას ძე გორელაშვილო და ქეთევან დავითის ასულო გურასპაულო.

დედუკა (დოდო) გორელაშვილი
**2019 წ. 4 ივნისი**

# ტოსკა

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ჯაკომო პუჩინის ოპერა „ტოსკას“ პრემიერა ვიქტორიენ სარდუს ამავე სახელწოდების დრამის მიხედვით.

სპექტაკლი მიეძღვნა ცისანა ტატიშვილის ხსოვნას.

სპექტაკლის დაწყებამდე დამსწრე საზოგადოების წინაშე გამოვიდნენ ელდარ გეწაძე და ლიანა კალმახელიძე. მათ ისაუბრეს ცისანა ტატიშვილის შემოქმედებით მოღვაწეობაზე და აღნიშნეს: „დიდმა მაესტრომ ალფრედო კრაუსმა, როცა მისი ხმა და სიმღერა მოისმინა, თქვა, რომ იგი, ტებალდიზე უფრო ტებალდია, ხოლო გამოჩენილი მომღერალი ნოდარ ანდღულაძე მის პარტნიორ ცისანა ტატიშვილს ქალთა ორფეოსს- “ყველაფრის დამტევს ხელოვნებაში“ უწოდებდა.

„ცისანა ტატიშვილს საბერძნეთში მარია კალასს ადარებდნენ, ესპანეთში – ვიქტორია დე ლოსანჰელსს, იტალიაში- რენატა ტებალდის, უფრო ხშირად კი დიდ მსგავსებას ხედავდნენ ცნობილ ბულგარელ მომღერალს გენა დიმიტროვასთან. მართლაც, ვერ დაიტრაბახებს ბევრი მსოფლიო მნიშვნელობის საოპერო ვარსკვლავი იმ რეპერტუარით, რომლითაც ქალბატონ ცისანას შემოვლილი აქვს მთელი მსოფლიო. სადაც ერთხელ იმღერებდა, იქ მეორედაც იწვევდნენ, მსოფლიოს პრესტიჟულ საოპერო სცენებზე მართლაც რომ ტოსკას უბადლო პარტიის შემსრულებელი იყო“. სპექტაკლის რეჟისორი გახლდათ ჯანკარლო დელ მონაკო, დამდგმელი დირიჟორი ჯანლუკა მარტინენძი.

მთავარ პარტიებს ასრულებდნენ: ფლორია ტოსკა- ხათუნა ჭოხონელიძე, მარიო კავარდოსი- გია ონიანი, ბარონი სკარპია-ლადო ათანელი, რომელმაც ეს პარტია მეასედ იმღერა და მის გამოსვლას სცენაზე პუბლიკა ხანგრძლივი აპლოდისმენტებით შეხვდა.

ბრწყინვალე დეკორაციები, ულამაზესი კოსტიუმები დიდ ხიბლს მატებდა ოპერის სამივე მოქმედებას. სცენოგრაფი გახლდათ კარლო ჩენტოლავინია, კოსტიუმების მხატვარი- ესტერ მარტინი.

როგორც ყოველთვის, შეუდარებელი იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი და ორკესტრი, თეატრის მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი.

პუბლიკა ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოვებდა ხათუნა ჭოხონელიძეს, გია ონიანს და ლადო ათანელს.სპექტაკლის დასრულების შემდეგ ლადო ათანელს ულამაზესი ყვავილების კალათა მიართვეს. მართლაც რომ შეუდარებლები იყვნენ: ტოსკა, კავარადოსი და სკარპია. ფეხზე წამომდგარი პუბლიკა შინ წასვლას არ ჩქარობდა და დიდხანს ისმოდა შეძახილი „ბრავო”.

პრემიერის პირველ დღეს ესწრებოდა ბევრი ცნობილი სახე, რომელიც თავად ლადო ათანელს მოეწვია: საუკუნის ლეგენდის ნომინატი მედეა ამირანაშვილი, ვალერიან გამგებელი, თამარ ივერი, ინესა მერაბიშვილი, მარინა მაჭავარიანი, კონსერვატორიის პროფესორები, პედაგოგები, ჩვენი თანამემამულეები: მზია მილაშვილი და ვალერი მჭედლიშვილი და სხვები.

სასიამოვნო ფაქტია, რომ თბილისის ოპერის 167-ე სეზონის რეპერტუარში აღდგა ჯაკომო პუჩინის უკვდავი ოპერა „ტოსკა“. ტორე დელ ლაგო პუჩინის ფესტივალის და თბილისის ოპერის თეატრის ერთობლივი პროექტია.

ნანა ჭიჭინაძე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო სამძიმარს უცხადებს გიორგი ჭინჭარაულს დის

ლია ჭინჭარაულის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია თანაგრძნობას უცხადებს საკრებულოს წევრს გიორგი ჭინჭარაულს დის

ლია ჭინჭარაულის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო უსამძიმრებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს გიორგი ჭინჭარაულს დის

ლია ჭინჭარაულის

გარდაცვალების გამო.

# დაირეკა ბოლო ზარი!







სკოლა ცოდნის პატარა ტაძარია. აქედან იწყებ თვალსაწიერის გაფართოებას, ახლის შეცნობას, კულტურას, ზნეობას, აქედან გადიხარ ცხოვრების ახალ ეტაპზე, ჯერ უცნობი ლაბირინთებით სავსე გზაზე....

ჩვენი ქალაქის ქუჩებში ამ დღეებში განსაკუთრებული სიხალისე იგრძნობოდა. გამვლელებს თეთრ ზედა ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონები და ბიჭები ხვდებოდნენ. მათი ჟრიამული და ხალისი გადამდები იყო. უმცროსები ბოლო ზარზე ოცნებობენ, უფროსებს წარსული ახსენდებათ. ეს დღე ადამიანის ცხოვრებაში, მართლაც, დაუვიწყარია.

ფერადი წარწერებით აჭრელებული თეთრი პერანგები, უამრავი კეთილი სურვილი და თვალცრემლიანი მასწავლებლები. ბოლო ზარი ერთდროულად სიხარულთან და ცრემლებთან არის დაკავშირებული. ემშვიდობები მშობლიურ სკოლას, კლასს, მერხს, მასწავლებელს და გული გწყდება. თუმცა, დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ პირველი ნაბიჯების გადადგმაც გიხარია და ყველაზე უმთავრესისთვის - სტუდენტობისთვის ემზადები.

პირველ საჯარო სკოლას 68 კურსდამთავრებული ჰყავს, მეორეს – თოთხმეტი, ხოლო ხორნაბუჯის საჯარო სკოლას – 16 კურსდამთავრებული დაემშვიდობა.

რედაქცია ულოცავს თითოეულ კურსდამთავრებულს ცხოვრების ახალ სარბიელზე გასვლას, სამშობლოსთვის კეთილსინდისიერ სამსახურში ყოფნას და პირად კეთილდღეობას უსურვებს მათ.







## ულოცავენ!

**სალომე გორაშვილს!**

**მარიამ გორაშვილს!**

ჩვენო საყვარელო, თვალებციმციმა, თბილო სალომე და მარიამ! გულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ულევ სიხარულს, სიყვარულსა და ბედნიერებას. თქვენი არსებობა ჩვენს ყოფას უფრო ბედნიერს და ნათელს ხდის. თქვენი ყოველი წარმატება ჩვენი წარმატება და სიხარულია. ჩვენ თქვენით ვხარობთ და ვცოცხლობთ. დაბადების დღესთან ერთად, გილოცავთ სკოლის დამთავრებასაც. გისურვებთ ცხოვრების ახალ ეტაპს, უამრავი წარმატება და მიზნების ასრულება მოეტანოს. თქვენი გზა მუდამ უფლისგან დალოცვილი ყოფილიყოს. გვიყვარხართ და გვეიმედებით!

**სიყვარულით**, **დედა** - ნინო, **მამა** - შენგელი, **ბებია და პაპა** - მაყვალა და ვისელი, **მამიდა** - ნინო, **მამიდაშვილი** - ბარბარე


## იყიდება!

იყიდება სახლი დედოფლისწყაროში, გოგებაშვილის №32. სახლში არის ყველა კომუნიკაცია: ცხელი წყალი, გაზის გამაცხელებელი,3 საძინებელი, 1 მისაღები ოთახი, სამზარეული, ერთი სველი წერტილი, აივანი, სარდაფი. არის ძველი რემონტი, პარკეტით. 120 კვ.მ. ეზო - 800 კვ.მ. თონე, ხეხილი. ფასი შეთანხმებით.

☎ 599 25 70 58


## ყურადღება!

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში, 5 ივნისს 15 საათზე, გაიმართება კლასიკური მუსიკის აკადემიური კონცერტი.

მონაწილეობენ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ინსტრუმენტალური ტრიო: **ქეთევან თავშავაძის, მაია ჯინჭველაშვილის, ია ბახტაძის** მონაწილეობით.

სპეციალური სტუმრის სტატუსით მოწვეულია, ქალბატონი **ლიანა კალმახელიძე,** საქართველოს სახელმწიფო ოპერის თეატრის XX და XXI საუკუნის ბრწყინვალე სოლისტი, სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

აკადემიური კონცერტი ეძღვნება დედოფლისწყაროელ საბავშვო ბაგა-ბაღის ღვაწლმოსილ აღმზრდელ პედაგოგებს: **დოდო გიგოლაშვილს, თამარ ბერიძეს, ციცინო ჩაფიაშვილს, ნიაზი პაპუაშვილს, ლია გურგენიძეს, ელა გოგილაშვილს, ციცინო ჯანიაშვილს.**

იდეის ავტორი და ხელმძღვანელი დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი ბატონი **ილია მარტყოფლიშვილი**; პროექტის მხარდამჭერი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ბატონი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი**, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთები: **„საქართველოს რესპუბლიკა“**, **„შირაქი“**, და **„საქართველოს ლირიკა“**.

სპონსორი სასტუმრო „დალის მთის“ მენეჯერი **ლია კობაიძე.**

დასწრება თავისუფალია.

## მადლიერება

გაზეთ „შირაქის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული იყო დარეჯან ქარსამაულის მადლობის წერილი სოფელ სამრეკლოში პირველი ქუჩის ბოლო მონაკვეთის და მესამე ქუჩის რემონტისა და მოასფალტებისთვის. ჩვენ ვუერთდებით ამ მადლიერებას, რადგან, მართლაც დიდი ხნის ოცნება აგვიხდა. ათეული წლები ტალახსა და მტვერში ვიხრჩობოდით და სოფლის თუ რაიონის ხელმძღვანელებთან ვაყენებდით ამ პრობლემის მოგვარების საკითხს. წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩვენი სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გოჩა სამუკაშვილის და სოფელში მერის წარმომადგენლის ლევან მაძღარაშვილის მცდელობით და დამსახურებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა ამ მონაკვეთების რემონტი და მოასფალტება. სამუშაოები შეასრულა საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია **„სერპანტინმა“**. ის 400 000 ლარამდე დაჯდა და, ჯერჯერობით, ხარისხიანად გამოიყურება, ამას დრო აჩვენებს. რა თქმა უნდა, ამ საქმეში დიდი წვლილი აქვთ, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ნუგზარ პაპიაშვილს და იმ დროისთვის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს, დღეს მერის მოადგილეს დავით ფხოველიშვილს. ყველამ ერთად შეძლო ჩვენთვის ამ კომფორტის შექმნა, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვუხდით თითოეულ მათგანს.

სოფელი სამრეკლო, აღნიშნული (ყოფლი სტალინის) ქუჩის ამ მონაკვეთის მცხოვრებლები.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 03.06 დღე | ორშაბათი 03.06 ღამე | სამშაბათი 04.06 დღე | სამშაბათი 04.06 ღამე | ოთხშაბათი 05.06 დღე | ოთხშაბათი 05.06 ღამე | ხუთშაბათი 06.06 დღე | ხუთშაბათი 06.06 ღამე | პარასკევი 07.06 დღე | პარასკევი 07.06 ღამე | შაბათი 08.06 დღე | შაბათი 08.06 ღამე | კვირა 09.06 დღე | კვირა 09.06 ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23 ° | 21 ° | 25 ° | 23 ° | 25 ° | 24 ° | 25 ° | 23 ° | 24 ° | 22 ° | 25 ° | 24 ° | 23 ° | 21 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.